გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 139

07 09 2015 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 2 სექტემბრის N2138-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 ივლისის სხდომის N12 ოქმის მე-12 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 3 სექტემბრის N03/3085 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 2 სექტემბრის N2138-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით

1. დამტკიცდეს ქალაქ მარნეულში, გიორგაძის ქუჩა N3ᵃ საცხოვრებელი კორპუსის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,გიორგაძის ქუჩა N3ᵃ“-ს კორპუსზე მისაკუთვნებელი დაზუსტებული მიწის ნაკვეთის ფართი და საზღვრები (წითელი ხაზები) და იგი განისაზღვროს ინდ. მეწარმე ,,ეკატერინე აფრასიძის“ მიერ შესრულებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად (მიწის ნაკვეთის ფართი - 1 413მ²; შენობა-ნაგებობების განაშენიანების ფართი - 671მ²).

2. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,გიორგაძის ქუჩა N3ᵃ“ -ს თავმჯდომარემ ელჩუ ელჩიევმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოს კორპუსზე მიკუთვნებული მიწის ფართისა და საზღვრების (წითელი ხაზები) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრაცია.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

ნაბი აბდულაევი

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: